

ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამდებობის 10 პირს ქონებრივი დეკლარაცია არასწორად აქვს შევსებული, რითაც ირღვევა კანონმდებლობის მოთხოვნები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 26-30 ნოემბერს ქობულეთის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის 30-მდე პირის დეკლარაცია შეისწავლა.

დარღვევებს შორის ყველაზე მეტია შემთხვევები, როცა თანამდებობის პირებმა არ მიუთითეს ან არასწორად აღნიშნეს ოჯახის წევრების ქონება და სამეწარმეო საქმიანობა. ასეთი 6 ფაქტი გამოვლინდა. 3 შემთხვევაში პირებმა კომპანიებში კუთვნილი წილების მართვის უფლება სხვა პირებს არ გადასცეს, როგორც ამას საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი მოითხოვს. ასევე გამოვლინდა თანამდებობრივი შეუთავსებლობის 2 და კომპანიაში კუთვნილი წილების მიუთითებლობის 2 ფაქტი.

**მინდია რომანაძე**

ქობულეთის მერიის გედამხედველობის სამსახურის უფროსი



მინდია რომანაძე დირექტორის პოზიციას იკავებს თბილისის მერის, ვახა კალაძის კუთვნილ შპს „კოლხეთში“. ეს ფაქტი რომანაძეს 2018 წლის 21 ივნისს შევსებულ დეკლარაციაში მითითებული არ აქვს, რითაც არღვევს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონს<sup>1</sup>, რომლის თანახმად, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება ეკავოს ხელმძღვანელი პოზიცია საწარმოში.

მინდია რომანაძის დირექტორობის პერიოდში შპს „კოლხეთმა“ 100 000-100 000 ლარი გადაურიცხა „ხალხის პარტიას“, „საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას“ და „თავისუფალ დემოკრატებს“.

**ზაზა კაიკაციშვილი**

ქობულეთის მერიის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი



ზაზა კაიკაციშვილს დეკლარაციაში არ აქვს მითითებული შპს „მზიურში“ კუთვნილი 20%-იანი წილი, რითაც არღვევს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-15 მუხლს.<sup>2</sup> გარდა ამისა, ზაზა კაიკაციშვილს ხსენებულ კომპანიაში კუთვნილი წილის მართვის უფლება არ აქვს გადაცემული სხვა პირისთვის, რაც ასევე კანონდარღვევაა.

**ნათია ნიჟარაძე**

ქობულეთის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი



ნათია ნიჟარაძის შვილი, ლიკა ლობჯანიძე შპს „უტა 25-ის“ დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელია, რაც ნიჟარაძეს არ აქვს მითითებული 2018 წლის 31 ოქტომბერს შევსებულ დეკლარაციაში.

**დავით მჭედლიშვილი**

ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარე



დავით მჭედლიშვილის შვილი, მიხეილ მჭედლიშვილი 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია შპს „თმ“-ში, შპს „ინგლისური აჭარაში-Adjara English“-ში და შპს „იმოგზაურეთ ჩვენთან ერთად-travel with us“-ში. ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარეს აღნიშნული წილები 2018 წლის 22 იანვარს შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს მითითებული.

**ნათია თხილაიშვილი**

ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



ნათია თხილაიშვილს ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნული არ აქვს, რომ მეუღლე მალხაზ მართალიშვილი 100%-იან წილს ფლობს და დირექტორის პოზიცია უკავიაშპს „პირამიდა-2012“-ში.

**დავით ნულუკიძე**

ქობულეთის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



დავით ნულუკიძემ 2018 წლის 10 იანვარს შევსებულ დეკლარაციაში არ მიუთითა შვილის, ირინე ნულუკიძის კუთვნილი 119 კვ.მ მშენებარე ფართი, ქ.ბათუმში, კლდიაშვილის ქუჩაზე.

**ვაჟა შავიშვილი**

ქობულეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



ვაჟა შავიშვილს დეკლარაციაში მითითებული 50%-იანი წილის მართვის უფლება შპს „TM Group“-ში სხვა პირისთვის არ გადაუცია. გარდა ამისა იგი ამავე კომპანიის დირექტორიცაა, რაც კანონდარღვევაა.

შავიშვილს დეკლარაციაში არ აქვს მითითებული შპს „ტრადიციულ აუდიტში“ კუთვნილი 100%-იანი წილი, რომლის მართვის უფლებაც ასევე არ აქვს გადაცემული სხვა პირისთვის.

**ვიტალი ქარცივაძე**

ქობულეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე



ვიტალი ქარცივაძემ 2018 წლის 25 სექტემბერს შევსებულ დეკლარაციაში არ მიუთითა ცოლის, ირინა დედანაშვილის საკუთრებაში არსებული 21 კვ.მ. ფართი ქ.თბილისში, გლდანის VI მ/რ-ში.

ირინა დედანაშვილი 100%-იან წილსა და დირექტორის პოზიციას ფლობს შპს „მეტალენერჯიში“. ვიტალი ქარცივაძეს არც აღნიშნული ინფორმაცია აქვს მითითებული დეკლარაციაში.

**მერაბ ცინცაბაძე**


ქობულეთის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე



მერაბ ცინცაბაძეს 2018 წლის 16 თებერვალს შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს მითითებული დედის, მატრონა ნინუას საკუთრებაში არსებული 383 კვ.მ მიწის ფართი ქობულეთში, თხილაიშვილის ქუჩაზე.

**ჯანსუღ ჭინჭარაძე**

ქობულეთის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე



ჯანსუღ ჭინჭარაძეს დეკლარაციაში მითითებული უძრავი ქონების ფართობი არ ემთხვევა საჯარო რეესტრში არსებულ მონაცემებს. კერძოდ, დეკლარაციაში მითითებულია 1600 კვ.მ ფართობის მიწა და 200 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, საჯარო რეესტრის მონაცემებით კი მიწის ფართი 2075 კვ.მ-ს შეადგენს, ხოლო საცხოვრებელი სახლის ფართი - 410.74 კვ.მ-ს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ საჯარო სამსახურის ბიუროს მოუწოდებს შეისწავლოს კვლევაში ნახსენები თანამდებობის პირების დეკლარაციები და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63>  
2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63>